საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 195

01/09/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 აგვისტოს გამოცემულ N50 194 ბრძანებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გასწორდეს ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. თანახმა ვარ განახორციელოთ გამარტივებული მომსახურების შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შემდეგ სამუშაოებზე:
ა) წიფის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ გოლათუბანში გზების შეკეთება ღირებულებით 946 ლარი.
ბ) ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლეღვანში წისქვილის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა და არხების აღდგენა, მდინარის კალაპოტის შეცვლა და ადგილზე არსებული ინერტული მასალის ხიდის ბურჯებზე მიყრა, კიბაბოურის უბანში ხიდის მიმდებარე კალაპოტის გაწმენდა და ხიდის ბურჯებზე მიყრა, კიბაბოურის უბანში წისქვილთან მდინარის კალაპოტის გაწმენდა, წისქვილის 100 მ-იანი არხის აღდგენა, ღელის კალაპოტის გაწმენდა და კაკიტაშვილების უბანში მდინარის კალაპოტის გაწმენდა და მდინარეში გასასვლელი გზის გაკეთება - ღირებულებით 8050 ლარი.
გ) ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გედსამანიაში გზის შეკეთება ღირებულებით 4997 ლარი.
დ) ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხუნევში გზების შეკეთება 2691 ლარი.
ე) ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ვერტყვიჭალაში და ბჟინევში გზების შეკეთება, ხოლო ვერტყვილაში გზის შეკეთება და ღელის კალაპოტის გაწმენდა ღირებულებით 4521 ლარი.
ვ) ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ციცქიურში, ხევში, წაქვასა დაგრიგალათში გზების შეკეთება ღირებულებით 5953 ლარი.

ზ) ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ უბისაში ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე სტიქიით დაზიანებული წყალგამტარი მილების შეკეთება, საქასრიასა და ვაშლევში გზების შეკეთება, ხოლო მაქათუბანში გზის შეკეთება და სანიაღვრე არხების გაწმენდა მოსაცდელთან ღირებულებით 4616 ლარი,

თ) კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბორში გზის შეკეთება ღირებულებით 10699 ლარი.

ი) ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქროლში დაზიანებული გზის შეკეთება ღირებულებით 3200 ლარი.

კ) ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლეღვანში, მარელისში და სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სარგვეშში გზების შეკეთება საერთო ღირებულებით 33653 ლარი.

ლ) ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წიფში და ქროლში წყლის სისტემის მოწესრიგება ღირებულებით 2810 ლარი.

მ) მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბაბში წყლის სისტემის მოწყობა ღირებულებით 6739 ლარი.

საერთო ჯამური თანხით 88875 ლარის ფარგლებში.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 აგვისტოს N50/193 ბრძანება.“

2 ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

3 ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე